№ 139 ივლისი 3, სამშაბათი 1890 ივლისი 3, სამშაბათი № 139


ვაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.


# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და გარეშე განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: [illegible]

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია" პირველის ივლისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

დაიბეჭდა ქუთაისში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცდა
(კრებული)
II
ფასი წიგნისა 50 კაპ.
(10—8)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 1 მკათათვეს, უკანასკნელი კონცერტი გამართა ბ-ნ რატილის ქართულმა ხორომ და საკმაო საზოგადოებაც მიიზიდა. ამ კონცერტს შემდეგ ხორო დღეს, სამშაბათს, მიემგზავრება რუსეთში, კავკავისკენ გაივლის და რამდენსამე კონცერტს ამ ქალაქში გამართავს. რასაკვირველია, კავკავის ქართველობა დიდის სიამოვნებით მიეგებება ხოროს, რომელიც პირველად მიდის ამ ქალაქში. ხორო შემდეგ პეტერბურგს მივა და გამართავს კონცერტებს „ოზერკებში", საზოოლოგიო ბაღში, არკადიაში და სხ. ხორო აგვისტოს ნახევრამდე იმოგზაურებს და შემდეგ ისევე ტფილისში დაბრუნდება.

*** ლიუბიმოვის საოპერეტო დასი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ბელსკისა და როდონი, დღეს, სამშაბათს, გამართავს თავისს პირველს წარმოდგენას და წარმოადგენს „სერაფიმას" (Mademoiselle Nitouche). ოთხშაბათს ამავე დასს დანიშნული აქვს წარმოსადგენად «ბოშათა ბარონი» სამ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა სტრაუსისა.

*** ტფილისელების გასართობი ამ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ბაღებია, მაგრამ, «სემეინი» ბაღს გარდა, ერთი ბაღი არ მოიძებნება ისეთი, რომ მართებულს, ოჯახიანს ადამიანს შეეძლოს შესვლა და დროების გატარება. „შვეიცარია" იყო-და, აქაც ვილაც ქალები გაჰკიოდნენ გათენებამდე, ბანქოს გაცხარებული თამაშობა ჰქონდათ, ასე რომ პოლიცია იძულებული იქმნა სულ ერთიან დაეკეტნა ეს ბაღი. «ვაზაც» ახლა «შვეიცარიის» მაგალითს აჰყოლია და ეს ბაღიც მომღერალ ქალებით არის საესე, ასე რომ აქაც არ შეესვლება მართებულს ადამიანს. კარგი იქნებოდა, რომ „ვაზაშიაც" აეკრძალათ ქალების, «არფეებად» წოდებულთა, შენახვა და ამით საშუალება მიეცათ ტფილისის ღარიბ მცხოვრებისათვის, რომელსაც აგარაკად გასვლის შეძლება არ აქვს, კვირაში ერთხელ თავისის ჯალაბობით დრო გაეტარებინა და წმინდა ჰაერზედ თავისუფლად ამოესუნთქა.

*** ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ქუჩების დამგველი დასი ჩვენ გადმოგვეცითო. ეს თხოვნა იმას გამოუწვევია, რომ ქალაქის გამგეობა, პოლიციის თხოვნისამებრ, დროზედ არ ასუფთავებინებს და არ აგვევინებს ქუჩებს.

*** გუშინ ფრანგებს საერო დღესასწაული ჰქონდათ და დილის 10 საათიდგან 12-მდე საფრანგეთის ელჩის სადგომში ბევრი ფრანგი მიდიოდა მისალოცად. ტფილისის ფრანგთა კოლონიამ გუშინ პარიჟში საფრანგეთის პრეზიდენტს ბ-ნ კარნოს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

*** კვირას, ამ თთვის 1, საღამოს 9 საათზე, მიხეილის ქუჩაზე შემდეგი უბედურება მოხდა: ამ ქუჩაზე მოდიოდა კონკის ვაგონი № 16. როდესაც ვაგონი ტფილისის «სობრანიას» დაუახლოვდა, ვაგონიდგან ჩამოსვლა უნდოდა ზუგდიდის მაზრის მცხოვრებელს იოსებ იოსავას, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ვაგონს ქვეშ მოჰყვა. როდესაც ვაგონი დააყენეს და იოსავა გამოიყვანეს, ძალიან დაშავებული აღმოჩნდა. იოსავა მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ექიმის სიტყვით, იოსავას მარცხენა ფეხი ამოვარდნია და თეძოს ძვლები დამჩხვრევია.

*** ტფილისის პოლიცმეისტერს მიუნდვია მტკვარში მობანავეთა მისაშველებელ სადგურის პატრონის დოლანოვისთვის, რომ გამოეძიე, სად შეიძლება მტკვარში უშიშრად ბანაობაო. პოლიცმეისტერს განუზრახავს, ეს ადგილები დიდრონის პალოებით აღნიშნოს, ზედ ფიცარი მიაკრევინოს და დააწერინოს, რომ აქ ბანაობა აკრძალული არ არისო. ამასთანავე პოლიციის მოხელეებს სასტიკად ექმნებათ ნაბძანები, რომ მდინარის სხვა ადგილებში არავის მისცენ ბანაობის ნება.

*** ნავთლუღიდგან დაწყებული ყარაიაზში სართაჭალამდის დიდ-ძალი კალია შეუმჩნევიათ. ეხლა განსაკუთრებული დარაჯები თვალ-ყურს ადევნებენ თურმე, სადა სდებს კვერცხს კალიაო და ამ ალაგებს ჰნიშნავენ.

*** ტფილისში გზად გამოიარა ორმა მეცნიერმა: სომშიემ, „იტალიის საანტროპოლოგიო და საფსიხოლოგიო საზოგადოების" წევრმა, და ბოტანიკოსმა ლევიემ. ეს მეცნიერები აპირობენ ინგურისა და კოდორის ხეობებში წასვლას საბოტანიკო გამოკვლევათათვის.

*** აზამბური (ტფილ. მაზრა): ჩვენს სოფელში სულ მთლად მალაკნები მოსახლეობენ. ერთად-ერთი ჩვენის ცხოვრების სახსარი არის პური და თივა, უმთავრესად-კი თივა. მაგრამ წრეულს თივა სულ ნაკლებად მოგვივიდა, რადგან ჩვენკენ წვიმები წრეულს ნაკლებად მოვიდა. ჩვენ გარეშემო ქართველთა სოფლებში წვიმა უხვად იყო და ჩვენ-კი, თითქო განგებაო, გვცდა. მაგრამ ამ წლის უმოსავლობას როგორმე გავუძლებთ, რადგან ჩვენი სოფელი ფრიად შეძლებულია. მალაკნები ქართველებთან მეგობრულად სცხოვრობენ და იმათს ენა-ჩვეულებას ადვილად ითვისებენ.

*** ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა): მაისის გასულს ისეთი საშინელი წვიმა მოვიდა, რომ წარღვნა გეგონებოდათ. ნიაღვარმა გზები, ღობეები და ზოგან ყანებიც წაიღო. ბაკურციხე-კაჭრეთის გზა ისე ჩახრამა, რომ ორის კვირის განმავლობაში ვეღარც ფოსტა დადიოდა, ვეღარც ფურგუნი. ვენახებს მშვენიერად გვისხია, მაგრამ მილდიუ და ნაცარი ძალიან მოედო. ხალხი წამლობას ეტანება, მაგრამ ბევრს შეძლება არა აქვს, რომ უშველოს თავის ვენახს. ბევრგან ვაზი შემოდგომასავით გაყვითლებულა და ფოთოლი სცვივა. ყანები უხვი მოგვივიდა. ეხლა გაჩაღებული მკაა ჩვენში.

*** რაჭა: 28 ივნისი: ჩვენკენ დიდი სიცხეები დაიჭირა. ტერმომეტრი ჩრდილში 23—28° ადის. ძვირად გვახსოვს ამ დროს ასეთი გვალვა. წარმოიდგინეთ, მთელი საკუთარი იმერეთი მობეზრებულია წვიმებითა და ნაქერალას აქეთ წვეთიც არ გადმოვარდნილა თითქმის სამი კვირაა. რაჭის ნიადაგი დიდს გვალვას ვერ იტანს. სიმინდებს დიდად დაეტყო უწვიმობა, მაგრამ სამაგიეროდ პური ხალისით ბიბინებს და ეს არის ნამგალს ელის. ღვინის მოსავალზედ გადაწყვეტით არა გვეთქმის-რა. ახლა

# ფელეტონი

## მეფე ერეკლე

### ერეკლეს დაშქრობა და ომები.

(დასასრული *)

წელსა 1780, ქორონიკონს უჲზ, ერევნის ხანი სანალიხან უკუდგა და აღარა მოსცა ხარკი. წარუგზავნა თავადი თარხნიშვილი ყორიასულბაში ზაზა და განუახლა ყოველი შრომა თვისი და სისხლ დათხეულება ქართლ-კახეთისა ერევნისათვის და თვით იმ ასან ალიხანის ხანობის მიცემა, როგორადაც მისცა ხანობა ერევნისა მეფემ ირაკლიმ. თუმცა ესე ყოველი უოფილი საქმენი განუცხადა, გარნა არა ისმინა, ვინაჲდგან აქენდა შემატებული ძალი რაჲმე განმრავლებითა ყმითა და სიმდიდრისაგამო, რომელმანცა შემოუთვალნა სიტყვანი დია მკვახენი. და უბრძანა მაშინ მეფემან ირაკლი მოწვევად ლაშქრისა ქართლ-კახეთიდამ და ლეკნიცა მოიწვია ჯარად რაოდენიმე ათასი და წარვიდა.

ამავე წელს აგვისტოს თთვეში მივიდა და დადგა შარბათის სოფელში, რომელი შორავს ერევანს ვიდრე ორი ალაჯამდე, და დაიწყო ჯარმა რბევა ერევნის მამულისა, და მოაოკრეს ყოველი მამული ერევნისა. აღარ დარჩა შენობა თვინიერ ერევნისა და ეჩმიაძინისა. ამავე დროსა დამორჩილებულ იყვნეს მეფის ირაკლისადმი განჯა-ყარაბაღი. და მოერთვნენ იქიდამ ჯარნიცა რაოდენნიმე ათასნი და ერევნის ლტოლვილნი ელნი წარსულიყვნენ ბაიაზეთის მამულში (რომელ არს სამფლობელო ხვანთქრისა). წარვიდენ ქართლისა და კახეთის თავადნი და ჯარნი და მოარბიეს მამული სრულიად ბაიაზეთისა, მრავალი ტყვე და საქონელი წამოიყვანეს, მიეწივნენ ქურთნი, გარნა იგინიცა დაამარცხეს და შეურაცხჰყვეს. და ყოველნი ადრიბეჟანის ხანები დაემორჩილნენ მეფეს ირაკლის, და მოუვიდა ელჩი და ფეშქაშნი: თავრიზის ხანისა, ხუის ხანისა, ურუმის ხანისა, მაყაუის ხანისა, მარაღის ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა, და აგრეთვე მოერთვა ერევნის მამულში მდგომი შამადინ აღა ქურთი, ძლიერი კაცი და მრავალთა ქურთთა მეპატრონე და მისცა თავი თვისი ყმად. გარდა ამისა შორაგელის სულტანი ყარამან მოვიდა და მოერთვა ყმად ყოვლითა შორაგლისა ხალხითა და მამულითა.

და ესოდენ განძლიერდა ერევანს ყოფნის ჟამსა მეფე ირაკლი, რომელ ელოდდენ ერანელნი უთუოდ გაკელმწიფება და ერანის ნაწილებსაც დაიპყრსო, ვინაჲდგან ჰქონდათ ცნობა ნადირშაჰსთან მყოფობითა და ესმოდათ მარადის სიმკნე და ვერც არავის ჰხედვიდენ მოპირდაპირედ ირაკლი მეფისა, ამისთვის დიდათ ჰფიქრობდენ და ყოველთვის ელოდდენ, რომ ერანისაკენ წამოვაო.

ესოდენთაგამო დიდათ შეამჭიდროვეს ერევანი. და იხვეწებოდა შერიგებასა, ხოლო ერთსა დღესა წარვიდა ბატონიშვილი გიორგი ძე ირაკლი მეფისა, რათა გარდაჰხედოს ერევნის ციხესა და ქალაქსა. მაშინ იხილეს-რა მცირე ცხენოსანნი ერევნის ციხის მახლობლად მისულნი ერევნელთა, გამოვიდენ იგინიცა შეხვეწნის უიმედონი და დიდითა შემჭიდროებითა თავგაწირულნი ეკვეთნეს სავნებლად ბატონის შვილს გიორგის და შეექნათ ომი, და რადგან ესე ერევნელნი უფრო მახლობელ იყვნენ ციხისა, ამისთვის არა მცირედ შეაწუხეს ბატონიშვილი გიორგი ომითა. და ბატონიშვილმან გიორგიმ აცნობა თავის მამასა და ჰსთხოვა ჯარი შემწედ. გარნა ჯარი მეფისა ირაკლისა უმეტესი ნაწილი წასრულიყვნენ ჩაფაულად. და რაოდენნიც იმყოფებოდნენ, უბრძანა ძესა თვისსა ლეონს მიშველება დანაშთენი სპითა და ეგრეთვე ამკედრდა მეფე ირაკლი თვით და სარდარნი მისნი, მიჰმართეს ბრძოლასა მას და ერევნიდამაც გამოვიდნენ რაოდენნიცა იმყოფებოდნენ მეომარნი და შეიქმნა ბრძოლა ძლიერი ვიდრე საათამდე. თუმცა ვერ შემძლებელ-იყვნენ ესოდენ ჟამსა პირდაპირ გასწორებასა ომისასა, გარნა აქვნდათ ერევნელთა ფრიადი სიმაგრენი კლდეთა და კედელთანი. და ჰყვანდაცა ლეკნი მეომრად ხანსა ერევნისასა. და მის გამო გამაგრდნენ. ხოლო მხილველი ამისი მეფე ირაკლი განრისხნებოდა, ვითარცა თხათა ზედა ლომი. და ამ დროს მცნობელმან ვინმე ერევნის ციხიდამ ესროლა პირდაპირ ზარბაზანი მეფეს ირაკლის და წინ-მდებარეს კლდეს მოჰხვდა. რომელიც განერა ფრიად განსაკვირვად. და შემდგომად ამისა ჰსძლივა მეფემ ირაკლიმ და დაამარცხა იგინი და მოსპო ყოველი ძალი ერევნისა. მრავალი კაცი მოჰკლეს და მრავალნიცა ცოცხალნი შეიპყრეს. და მისცა ბრძანება სპათა თვისდამი, რათა ყოველმან კაცმან სახლი გააკეთოს და იზამთროს მუნ. ხოლო მხილველი ამისი და მსმენელი ფრიად შეშინებული იქმნენ. და შემოევედრა ერევნის ხანი და დაადვა ხარკი ვიდრე ოთხი-ათას თუმნამდე. ესე გარდაკვეთით და უმეტესი სხვადა ფეშქაშნი შესამატნი მოერთმეოდეს. გარნა არა დართო ჯერეთ ნება მეფემან ირაკლი.

და მუნ მყოფობასა შინა მოუვიდა წიგნი ქართლიდამ, რომ ბაქარ მეფის შვილი ალექსანდრე მოვიდა იმერეთს და მეცადინეობს, რათა ვიეთნიმე ქართველნი მოატყუოს და მიიბიროსო. თუმცა არა სარწმუნო იქმნა, გარნა ურჩიეს ვიეთთამე ვეზირთა და უმეტესად ტფილისიდამ დაუწყეს ხშირად მოწერა, რომ მოეშველეთ ქართლსა, თორემ საქართველო აირევაო. და ამისის მიზეზით გამობრუნდა ერევნიდამ მესამეს თთვეს. აჰყარა მრავალნი მეკომურნი სომეხნი და მოიყვანა საქართველოში, რომელნიც დღესაც მდგომარებენ რამდენსამე ადგილს, და სხვა ტყვე და საქონელი ურიცხვი იშოვნა ჯარმა. მრავალი თეთრი მოართვა ოქიატერმა. და ზემოხსენებული რიცხვი თეთრისა დასდვა ერევანსა ხარკად წელიწადში ოთხი ათასი თუმანი. და შემდგომად განუწესა მოურავიცა თვისი მუხრანის ბატონი, სიძე თვისი იოანე კოსტანტინეს ძე და იყო ერევანი მოხარკეობასა შინა მეფის ირაკლისა, ვიდრე მოსვლამდე ყაჯარ აღა-მაჰმად ხანისა.

შემდგომად რაოდენისამე წლისა კვალად იძია შური სულეიმან ფაშამ

---

*) იხ. „ივერია" №№ 132, 133, 134, 135, 136 და 139.

თუმცა ვენახს კარგად ასხია, მაგრამ ვინ იცის მოწევამდის გასტანს თუ არა. შარშანაც კარგს მოსავალს მოველოდით, მაგრამ ვენახის ახალმა სენმა—მილდიუმ ისე დასჯაბნა ვაზები, რომ ასის კასრის*) მოსვლის მაგიერ ათიც არ მოსულა.

*** დუშეთი: ამ ივნისის 25, საღამოს, ქ. დუშეთში გამართულ იქმნა ბ-ნ რატილის ქართულის ხოროს მიერ კონცერტი. ხორო ამოვიდა მცხეთიდგან დუშეთს საღამოს ოთხს საათზედ. დუშეთის საზოგადოებამ არ იცოდა, თუ ბ-ნი რატილი მცხეთის შემდეგ დუშეთშიაც გაჰმართავდა ქართულს კონცერტს და ამიტომ სრულიად არ მოელოდა ხოროს ამ საღამოს. თუმცა ხორო ასე გვიან მოვიდა დუშეთში, მაგრამ მაინც-დამაინც საჩქაროდ აცნობა საზოგადოებას აფიშებით თავისი მოსვლა რვა საათამდე. გაიგო თუ არა საზოგადოებამ ხოროს მოსვლა, ყველა მიეჩქარებოდა ბილეთების სასყიდლად. კონცერტი დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზედ და ბევრნიც დაესწრნენ კონცერტზედ, ასე რომ კარგა დიდი დარბაზი აქაურის ორ-კლასიანის სასწავლებლისა მთლად გაივსო ხალხით, თუმცა ბევრს ხოროს მოსვლა არცკი შეუტყვია. ყველა დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში ამ პირველად გამართულის ქართულის კონცერტით. ყოველს გალობას შემდეგ დიდი ტაშის-კვრა და ბრავოს ძახილი ასტყდებოდა ხოლმე საზოგადოებაში. ხორო და აგრეთვე თვით რატილიც რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ ცალკე სამღერლად. ჩვენი მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო სტუმრები იმავ საღამოსვე გამოგვეთხოვნენ და დაბრუნდნენ ქ. ტფილისს.

*** არზრუმიდგან ყარსში მოსულ სომხებს შემდეგი ამბავი უცნობებიათ გაზ. „ახ. მიმოხ." კორრესპონდენტისთვის. ეს ამბავი დამართნია არზრუმში გუმბრელ ვაჭარ დრ—ს. ეს ვაჭარი რაღაც აყალ-მაყალს წასწყდომია ქუჩაში და პოლიციაში შებრუნებულა, გამომაყოლეთ ვინმე რუსეთის საელჩომდის, მარტოდ წასვლა მეშინიანო. პოლიციას ეს თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულებია და ორი კაცი გაუყოლებია. როცა ერთს მიყრუებულს ქუჩაში გასულან, თვით თანამგზავრები დასცემიან ამ ვაჭარს და ძარცვა დაუწყვიათ. ერთს მათგანს ოქროს საათი აუწყვეტია, მეორეს ხანჯალი დაურტყამს, მაგრამ საბედნიეროდ ხანჯალს მხოლოდ ჯიბე გაუჭრია, და ფულები გამოუბნევია. მძარცველები ოქროებს გამოსდგომიან, და ამასობაში ვაჭარს თავისთვის უშველნია.

*) კასრი სამ ბათმან ნახევარია.

*** ივლისის 1 აბაშის მცხოვრებელი დავით ქოიავა, მჭედლიძის დუქანში, რომელიც ცხენის რკინის-გზის საჯინიბოს მახლობლად არის, საღამოს ექვსის ნახევარ საათზე, სიმთვრალის დროს, წაეჩხუბა თავის ბიძაშვილს კონსტანტინე ქოიავას და ხანჯლით დასჭრა მარცხენა ბარკალში. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავე-კი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავ დღეს ტფილისის მცხოვრებლის ნიკოლოოზ ლობაჩევის სახლის ეზოდგან, რომელიც მალაკნის ქუჩაზე იმყოფება, მოიპარეს ორი ძროხა. ქურდს და დანაკარგს დაეძებენ.

## ორიოდე სიტყვა ნაცრისა და მილდიუს შესახებ

ჩვენში იმ თავითვე ფესვი აქვს გადგმული იმ აზრს, რომ ვითომც ჩვენებურს მაღლარ ვენახისა ნაცრისა და ვაზის ობისაგან (მილდიუ) წამლობა არ მოუხერხდებოდეს, რადგანაც აქაური ვაზი მაღალ ხეებზეა ახვეული და მკურნალი და სამკურნალო წამალი ძნელად მიუდგებაო. წარსულ წელში სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრებაზედაც ესევე აზრი წარმოითქვა ამ საგნის შესახებ. ეჭვი არ არის, გურიის ვენახის წამლობა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხისა, სადაც დაბლარი ვენახია, მაგრამ იმის თქმა-კი, რომ აქაურის ვაზის წამლობა შეუძლებელიაო, დიდი შეცდომა იქნება. თვით ის გარემოება, რომ აქაურის ვაზის მტევნები თითოობით იკრიფება ხელით, შესაძლებელად ჰხდის ამ ვაზის წამლობას ობისა და ნაცრისაგან.

იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში ვაზის წამლობა ადვილად მოხერხდება და ამ წამლობას აქაურის ოდესმე ჩინებულის ვაზის გამობრუნებაც შეუძლიან, ერთი გარემოება უნდა დავასახელოთ.

გასულ მაისის პირველ რიცხვებში საცდელად გამოვიწერე ტფილისის სამეურნეო საზოგადოებისაგან გოგირდის მისაყარი საბერველი და ერთ ფუთამდე ფხვნილი გოგირდი; ამ ნივთებთან ერთად მივიღე საზოგადოების მდივან ბ-ნ იოსელიანის მიერ გამოგზავნილი ორი პატარა სახელმძღვანელო რუსულს ენაზე ნაცრისა და ობის წამლობაზე*). მაისის 15 პირველად ვუწამლე გოგირდით რამდენსამე მაღალ ხეზე აშვებულს ვაზს იმ რიგად, როგორც სახელმძღვანელოში არის ნაჩვენები, ესე იგი ჯერ გავაშორე ვაზს უმტევნო ყლორტები და შემდეგ მივაყარე გოგირდი მთელს ვაზს. ამ საქმეში მეხმარებოდა რამდენიმე მოზრდილი მოწაფე ბახვის სკოლისა და ამას გარდა იქვე იყო ზოგიერთი მეზობელი მიწის პატრონიც. ნაწამლ ვაზს ერთს კვირაშივე დაეტყო დიდი განსხვავება უწამლელ ვაზთან შედარებით: ნაწამლი ყლორტები და ფოთლები ძალიან დაიზარდა და ჩინებული ფერი დაიჭირა, ხოლო ერთის თვის შემდეგ-კი, როცა უწამლელ ვაზის მტევნებს ნაცარი გამოაჩნდა, ნაწამლი მტევნები სრულიად უვნებელია ნაცრისაგან და საოცრად განსხვავდება დანაცრულთაგან მარცვლების სიდიდითა და სისაღით. თითოეულ ძირ ვაზის წამლობას ორთა შუა რიცხვით 15 წუთი მოუნდა პირველში. რასაკვირველია, როცა მუშა შეეჩვევა ამ საქმეს, უფრო მეტის სიჩქარით იმუშავებს, ასე რომ ხეზე კარგად მავალი ერთი მუშა დღეში ორმოცამდე ვაზიანს ხეს მოივლის. აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ჩვენში გოგირდის ხმარება უფრო ხშირად დილის ექვს საათიდგან ათ საათამდე შეიძლება, რადგან კარგს დარში ყოველ დღე ათ საათიდგან მოკიდებული ზღვის სიო ჰქრის ხოლმე და ქარში ხომ გოგირდის მიყრა შეუძლებელია. გარდა ამისა ჩვეულებრივად ხმარებულს გოგირდის საბერველსაც ჩვენში სახმარებლად ცოტა ცვლილება უნდა მიეცეს, რადგან აქაურის ვაზის ყლორტები ტოტებზე შორს არის წასული. ჩვენის აზრით, ეხლანდელ საბერველის მილს გარდა, ვაზის ქიმმა უნდა იქონიოს ამაზე ბევრად უგრძესი მეორე მილიც და ის იხმაროს. ამისთანა მილს ადვილად გააკეთებს ყველა თუნუქის ოსტატი. ამ ბოლოს დროს ჩვენში ვაზის ობმაც იჩინა თავი უფრო აქაურს იზაბელაზედ, რომელსაც ნაცარი სრულიად არ ეკარებოდა და ამის გამო დიდს შემოსავალს იძლეოდა აქამდის, თუმცა გლახა თვისების ღვინო იცის. ობის წამლობაც ჩვენში ძნელი არ არის, რადგან ამ სენის საქიმო მოწყობილება ბევრად უფრო ადვილად იხმარება ჩვენს ხეებზე, ვიდრე საბერველი, თუმცა ობის საწამლებელი იარაღი გაცილებით უძვირესია საბერველზე, ორ თუმნამდის ღირს და საბერველი-კი ორ მანეთადაც იშოვება. წამალი-კი ორისავე სენისა ძალიან იაფად ჯდება: ფუთი ფხვნილი გოგირდისა ორი მანეთი ჰღირს და ორთა შუა რიცხვით თითოეულს ვაზს უნდება სულ (ვაზს გოგირდის მიყრა ორჯელ ან სამჯერ უნდა წელიწადში) ერთი გირვანქა—10 კაპეიკი. ერთი კარგი მუშა ჩვენში დღეში ღირს სამი აბაზი. ზაფხულის დღეში მუშა იმუშავებს თორმეტ საათს და რაკი თითო ძირ ხეს სწამლობს 15 წამს, ერთის ვაზის წამლობას უნდება მუშის ქირად $1^1/_2$ კაპ.; თუ რომ სამჯერ დასჭირდა წამლობა, მაშინ $4^1/_2$ კაპეიკი, სულ ერთ ძირ ვაზს მოუნდება წელიწადში 15 კაპეიკამდე ხარჯი. ახლა ვიანგარიშოთ, რა სარგებლობას მოგვიტანს ერთი ძირი იმ ვაზისა, რომელიც დღეს უწამლოდ არაფერს იძლევა. ჩვენს ვაზს ის ყურძენი საღად რომ შერჩეს, რასაც ახლა ისხამს, თითო ვაზი ანუ თითო ძირი ხე, როგორც ჩვენში იტყვიან, ორთა შუა რიცხვით მოგვცემს ნახევარ ფუთ ღვინოს მაინც, სულ ორის მანეთის საღირალს. სამი შაურის დახარჯვით ორი მანათი რომ არ დაჰკარგოს ადამიანმა, ძალიან დიდი მოგებაა. ჩვენი ხალხი ადვილად მიმბაძავი და დამჯეროა და საკმარისია მთელს სოფელში ერთმა ვინმემ აჩვენოს მაგალითი ვაზის წამლობისა, რომ მთელი გურიაც იმას აჰყვეს და იმასვით დაუწყოს მოვლა და პატრონობა თავისს ქონებას.

გ. შარაშიძე

23 ივნისი
სოფ. ბახვი.

*) დიდად სასიამოვნო იქნება, ეს სახელმძღვანელონი ქართულს ენაზედაც რომ დაიბეჭდებოდეს, რადგან ჩვენთა მემამულეთა უმეტესობამ რუსული ან სულ არ იცის და ან ისე იცის, რომ იმისი ცოდნა არ-ცოდნას უდრის.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამა მდგომარე 1890 წლის მაისის 13—14-ს ერთი სამწუხარო ამბავი შემემთხვა—ისეთი ამბავი, რომლისთანასაც ჯერ არ დავსწრებივარ. ამ დღეს, ღამის 12 საათზედ, უეცრად დაიწვა ჩემდამო რწმუნებულის გორდის სასოფლო სასწავლებლის სამ-თვალი შენობა ყოველისავე მოწყობილობით, სახელდობრ: ოცდა-ოთხი ცალი სკამი, ახლად გაკეთებული, კლასის ორი დიდი დაფა, ორი დიდი სურათი, ხელმწიფისა, ერთი მშვენიერი ხატი მაცხოვრისა, ერთი ათ-მანეთიანი ზარი, ერთი დიდი წიგნების შკაფი, ხუთი საგეოგრაფიო რუკა, ერთი გლობუსი, ერთი სანგარიშო ჩოთქი, ორი საწოლი, ოთხი სკამი და აგრეთვე მრავალი მხატვრობა და წიგნი სასწავლებლის ბიბლიოთეკისა. ამასთან დაიწვა აზრუშმის ჭია და ყოველივე ამისი გამართულობა: ორი ეტაჟერკა, ორი მაგრატელი, ერთი პრაზოიანიკი, ერთი საგრადუსე $R^0/_0$, ორი ხონჩა, სამი ფარდა, სამი ზეწარი, ორი დანა და ყველა ჩემი საკუთარი ნივთი. დაიწვა აგრეთვე ექვსი ცალი რუსული კარი და თოთხმეტი წყვილი ფანჯარა, რომელიც მისის უგანათლებულესის სამეგრელოს თავადისაგან მქონდა დროებით მობარებული. ზარალი ერთიანად ორი ათას მანეთზედ ნაკლები არ იქნება. ცეცხლმავე გასხმო და წასხდინა სხვა-და-სხვა ნათესი ხეხილი და ლამაზი ბოსტნეული, სასწავლებლის ეზოში ჩემის ხე-

---

და დაიწყო საქმობა ჩუმად შუშის ხანთან და დაღისტანში ომარხანთან და ეგრეთვე ასტეხნა ლეკნი მარბეველად ქართლისა. და ფარვით, რომლითაცა მართლობდა თავსა მეფეს ირაკლისთან, ვითომ არ იყოს ნება მისი, ოდეს ლეკნი ახალციხის მკრითგან ავაზაკობდნენ.

ჟამსა ამას მოიწია უბედურებაჲ და გარდაიცვალა ძე ირაკლი მეფისა ლეონ და ოდეს მიესმა ახალციხის ფაშას სულეიმანს, სთქვა: „ერთი ფარიდა ჰქონდა საქართველოს, რომელიც ოთხსავ კუთხეს დაიფარავდა. და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო". უმეტესად განიგულა ოკრება ქართლისა.

მაშინ მეფე ირაკლი, ფრიად მგლოვიარე ძისა თვისის ლეონისთვის, დამცხრალიყო ომებისაგან და არღარა ჰნებავდა ლაშქრობა არცა ერთსა მკარესა.

და ასტყდენ ლეკნი ახალციხის მკრიდამ ასაოკრებლად ქართლისა[1]).

ამისა შემდგომად სცნა იმპერატრიცა ეკატერინამ რუსეთისამან წინასწარნი ქმნილნი და შემდგომნიცა ახალციხის ფაშისაგან საქართველოს რბევა-ოკრებანი. რომლისათვის წარმოავლინა მეფეს ირაკლისთან მინისტრად ბურნაშოვი პოლკოვნიკი და ორი ბატალიონი მკედრობა თვისი. გარნა უმეტესად განძვინდა სულეიმან ფაშა; და შექმნეს სხვათა ადრიბეჟანის ხანებთაცა შიშნეულობა მკედრობის გამო რუსეთისა, ვინაჲდგან ძალითა რუსეთის მხედრობისათა. და ამისთვის შეექმნათ ურთიერთისადმი დაფარვით დინ-თესლობის თანკმობაჲ.

ხოლო ამას ჟამსა ეპყრა საყმოდ განჯა და ყოველი მამული მისი მეფეს ირაკლის. არამედ აქვნდა ფრიად მეგობრობა შუშის ხანთან და ერთი იმის კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდენ განჯის ქალაქსა. რომელიცა ზემოხსენებულის ფიქრისა და შურისა გამო გამოაძეს მუნ მყოფი იგი მეფის ირაკლის კაცი თავადი ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივანბეგი. და შეიყვანეს იგივე მემკვიდრე განჯისა ჯავად ხან და დასვეს ხანად. ამავე დროსა სულეიმან ფაშამ მოუწოდა ომარხანს, დაღისტნის და ხუნძახის ბატონს. მან შემოიყარა დაღისტნის ჯარი და აგრეთვე ჭარელნი ვიდრე ოცი ათასამდე და მოვიდა ურდოზედ (რომელ არს ალაზნის პირი). და მოვიდა მეფე ირაკლიცა რუსეთის მკედრობითა ქისიყს და დადგა სიღნაღს, რომელ ხუნძახის ბატონი სიღნაღს მისვლას აპირებდა და მუნ მოელოდდა მეფე ირაკლი. გარნა იგი აიყარა უგრძნეულად, ამოვლო ჭირხლის კევი, ამოვიდა დედოფლის წყაროზედ და გარდავიდა იორზედ. მცნობელი ამისა მეფე ირაკლი გამოუდგა სწრაფად რუსის მკედრობით, გარნა ვერღარა ეწივა. მივიდა ახტალას, აღიღო ციხე და დაატყვევა ყოველნი მუნ მყოფნი ბერძენნი და ქართველ-სომეხნი. და ავიდა ახალციხის ფაშასთან. რაოდენსამე ხანს იქ განუყვენა სულეიმან ფაშამ. წარმოუძღვარა კაცნი და გამოისტუმრა ხუნძახის ბატონი ჯარით საბაშიოში და ვახანის ციხეს შემოადგა. აქაცა მიეშველა მეფე ირაკლი თავის ჯარით და რუსეთის მკედრობით. მიბრძანდა სურამს, გარნა ვერ დაამტკიცეს მისვლა ვახანს და მიშველება მათი. ვინაჲდგან არ იყო ადგილი მარჯვე, რათა რეგული მოხმარებულიყო. და აღიღეს ციხე ვახანისა და მრავალნი სულნი დაატყვევეს. და აბაშიძეები თავისის ცოლშვილით და ყოვლითა სიმდიდრითა და საგანძურთა დაალალიერეს. და უკუნ იქცა მუნ ომარხან ახალციხეს სულეიმან ფაშასთან. მას ზამთარს მუნ ისადგურა და მეორეს ზამთარს პირშემოდგომაზედ გამოისტუმრა. გარნა ვერღარა იკადრეს ჩამოვლა ქართლზედ. არამედ განვლო მთანი და ჩავიდა ყარაბაღში იბრეიმ ხანთან[2]).

შემდგომად ამისა მეფე ირაკლიცა წავიდა განჯას და ეგრეთვე მკედრობაცა რუსეთისა თან წაიყვანა, ვინაჲდგან ამავე წელს გაქცეულიყვნენ საქართველოს ელნი ყაზახისა და შამშადილისანი და იმყოფებოდნენ განჯა ყარაბაღსა შინა. და ყარაბაღიდამ გამოიქცნენ მელიქნი იბრეიმ ხანისანი, სომეხნი ფრიად მდიდარნი და განძლიერებულნი ყმითა და ციხე სიმაგრითა, რომელნიცა მოვიდნენ მეფე ირაკლისთან და ჰსთხოვეს ჯარი, რომ მისცეს შეწევნა და აჰყარონ ყოველი საყმო თვისი. ამისთვის წარგზავნა ძე თვისი იულონ და გაატანა სარდარნი და სპანი საქართველოსანი. მივიდნენ მამულსა ყარაბაღისასა, იქიდამ მოეგება ჯარი და სარდარი იბრეიმ ხანისა და მოინებეს აყრა მელიქებისა. გარნა ჟამს ამას განუცხადა მინისტრმან ბურნაშვილმან, რომ ბრძანება მოვიდა, დღესვე უნდა გავბრუნდეთ. გარნა ჰსთხოვა მეფემან ირაკლიმ მოცდა, ხოლო მან არა ინება და გამობრუნდა განჯიდამ და მეფეცა მათთანა. ხოლო ამასვე ჟამსა თანკმობისათვის იბრეიმ ხანისა ჩამოვიდა ომარხან ჰერში, დაღისტნის ჯარით მიბრძანდა ქისიყს. ხოლო რუსეთის მკედრობა მოვიდა ტფილისს და წარვიდენ რუსეთს. და რაოდენსამე თთვეს ჰერში დარჩა ომარხან, გარნა ვერღარა იკადრა მისვლა ქისიყზედ, არამედ გაბრუნდა და შამახიას შემოადგა.

—

ხოლო მეფობასა ამისსა, რომელი დავწერეთ, ძლევანი სახელდობრ, ვგონებ, ოცდა ათამდინ. უმეტესიცა ძლევანი მიელო, გარნა ამისა. და ჰყვანდა სიცოცხლესა თვისსა მოხარკედ: განჯა, ყარაბაღი და ერევანი. და მსახურებდენ ვალდებულებითა, ვიდრე მოსვლამდე ყაჯარ აღამაჰმადხანისა. მეფობასა ამისსა სიმაგრენი ქართლ-კახეთსა, შინა-გალავანნი და ბურჯნი ვიდრე ას სამოცამდე. და თვით მეფე ირაკლიმ განაახლა ციხე: გორისა, ქრცხინვალისა, შინდისისა და არადეთისა; გალავანი: სიღნაღისა, თელავისა, ბოჰორმისა, ჭოეთისა, ყვარლისა, საბუისა, გრემისა, თედისა, პატარძეულისა და ნორიისა. ხოლო შრომანი და ღვაწლი მეფის ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ იყო აღწერად, არამედ რაოდენი ძალ-მედვა სმენითა და მეხსიერებითა სარწმუ-

[1]) ბუტკოვი (ტ. II. გვ. 177): ფაშანი არზრუმისა, კარისა, ბაიაზეთისა და ვანისა ერეკლეს ეპყრობოდნენ თავაზიანად, მეგობრულად და კეთილი მეზობლობა ჰქონდათ საქართველოსთან. ხოლო რუსეთის ჯარის შემოსვლიდამ საქართველოში, ყოველივე ამ ქვეყნისათვის ცუდად წარიმართა. ხანები, ელები ერეკლეს ისრე აღარ ემორჩილებოდნენ, როგორც წინად.

[2]) იხილე ქვემოდ.

ლით გაკეთებული. როდესაც ეს უბედურება მოხდა, სასწავლებელში არავინ იწვა და ცეცხლის გაჩენა ყველაზედ უწინ გაიგეს იქვე სოფლის სასამართლოში მწოლიარე ქეხსმა გლეხ-კაცმა და ერთმა მამასახლისის ხელ-ქვეითმა, რომლებმაც მაშინვე მაცნობეს. რადგანაც სახლის ყავარი, ჭერი და იატაკი ფიჭვისა და კედლები კიდევ ცაცხვისა იყო, ისე უცბად დაიწვა, რომ ერთი შაურის საფასურის გადარჩენაც ველარ მოვასწარით. იმავე ღამეს მოვახსენე ბოქაულს, რომელიც მაშინვე მოვიდა და ჯეროვანი გამოძიება მოახდინა, მაგრამ ჯერაც დამნაშავეს კვალი ვერ გვიპოვნია. საცოდავნი სანახავნი იყვნენ მეორე დღეს მოსწავლეები, რომლებსაც ცეცხლის გაჩენა ჯერ არა ჰქონდათ გაგებული, სიმღერით მოდიოდნენ სასწავლებლისკენ და აბრეშუმისთვის თუთის ფოთოლი მოჰქონდათ. დაინახეს თუ არა დამწვარ-გადაბუგული შენობა სასწავლებლისა, იქავე დაყარეს თუთის ფურცელი და ტირილითა და მწუხარებით დაბრუნდნენ სახლში. ამ გარემოებით შეწუხებულმა, მეტი გზა აღარა მქონდა, ისევ სამეგრელოს უგანათლებულესს თავადს მივმართე, ვუამბე ჩვენი უბედურება და შეწევნა ვსთხოვე, რადგანაც არ მინდოდა სწავლა შემეჩერებინა, კიდრე ახალს შენობას მოვახერხებდით როგორმე. მისმა უგანათლებულესობამ შეიწყნარა ჩემი ვედრება, თავისის ხარჯით დაიქირავა შენობა სასწავლებლისათვის, საცა ბავშვები ამ ჟამად კვლავ განაგრძობენ სწავლას, ამას გარდა კირი დაგვითმო უფასოდ სამერმისოდ ქვის შენობის ასაგებლად სასწავლებლისათვის. დიდს გულითადს მადლობას ვუძღვნით მეცა და ჩემი მოწაფეებიც ასეთის უხვის წყალობისათვის თავადს სამეგრელოისას და ღმერთსა ვსთხოვთ მის ხანგრძლივს სიცოცხლეს დაზარალებულთა და ღარიბთა სანუგეშოდ.

მასწავლებელი გორდის სასოფლო სასწავლებლისა ვ. გობეჩია

22 ივნისს
სოფ. გორდი.

# რუსეთი

გამოჩენილის რუსეთის მწერლის ნიკოლოზ ვასილის ძის გოგოლის ძეგლის ასაგებად ქ. მოსკოვში უკვე 51,630 მანეთი შეუგროვებიათ.

— წელს თურმე რამდენსამე იაპონელ ახალ-გაზდას ჰსურს შევიდეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამ ყმაწვილ კაცებს სწავლის გათავების შემდეგ განზრახვა აქვთ, სამშობლოში დაბრუნდნენ და მასწავლებლობა დაიწყონ.

— 23 მაისს, პერმის გუბერნიაში, დაბა ნევიანსკაში, ცეცხლი გაუჩნდა სახელმწიფო რკინის ქარხანას. ვიდრე ხალხი მოგროვდებოდა და საქრობ მანქანას მოიტანდნენ, ცეცხლი მახლობელ შენობებსაც მოედო. ქარმა უფრო გააძლიერა ცეცხლი. მცხოვრებლებმა შეატყვეს თუ არა, ჩვენი სახლებიც იღუპებაო, ყველა თავ-თავის სარჩო-საბადებელს ეძგერა, იქნება გადავარჩინოთო. გასაქრობად თითქმის აღარავინ დარჩა, ისე გაიფანტ-გამოიფანტნენ. ცეცხლი უფრო და უფრო გაძლიერდა და რაც რამ ბარგი-ბარხანა იყო გამოზიდული, სულ ერთბაშად შთანთქა გამძვინვარებულმა ალმა. მთელი უბანი, მთელი ნახევარი ქალაქი ცეცხლის ზღვას დაემსგავსა. სახლ-კარი და სარჩო ყველას დაეიწვა. ახლა იმასა სცდილობდნენ, თავი როგორმე გადავარჩინოთ ცოცხალიო. ზოგი მინდორში გარბოდა და ზოგიც, ვინც სახლიდგან გამოსვლა ველარ მოასწრო, გრილს სარდაფებში იმალებოდა, ეგონათ აქ-კი ცეცხლი და სიცხე ვერ ჩამოგვატანსო, მაგრამ საწყლებს იმედი უცრუვდებოდათ და ყველანი სიცხისა და კვამლისაგან დაირჩნენ. რაც-კი რამ დასაწვავი იყო, ყველაფერი იმსხვერპლა ცეცხლმა. მთელი დაბა გადიბუგა ერთ პატარა უბანს გარდა, სადაც მხოლოდ ათასიოდე უბრალო ხის სახლი-ღა ჰხირია. ამ ცეცხლმა 13,188 სულის საცხოვრებელი მტვრად და ნაცრად აქცია.

— ამ დღეებში ქალაქ სარატოვში ერთი საკვირველი მახინჯი ბავშვი დაბადებულა. ამ ბავშვს თავი სულ არა აქვს თურმე. თავის ალაგას რქებივით რაღაც ამოუშვერია და ზედ გრძელი ყურები ასხია. თვალები-კი გულზე ჰქონია. ბავშვმა მხოლოდ რამდენიმე წუთი იცოცხლა თურმე.

— პეტერბურგის პეტრე-პავლეს საავადმყოფოში 24 ივნისს შემდეგი უბედურება მომხდარა: საავადმყოფოს უშველებელს შენობაში ერთი პატარა ოთახი უჭირავს თურმე ფერშალ ქალს ალექსანდრა შახოვისას, რომლის ქმარიც იქვე რკინის გზაზედ ჰმსახურებს. კარგა ხანი თურმე ერთად სცხოვრობდნენ ცოლ-ქმარნი ამ პატარა ოთახში, მაგრამ რადგანაც ბახოვი ძლიერ მისდევდა მაგარ სასმელებს, ხშირად ითვრებოდა და უწესოებას ახდენდა საავადმყოფოში, ამიტომ იძულებული გახადეს, სადგომი ცალკე დაეჭირა. ბახოვმა მაინც არ ამოიკვეთა ფეხი. მალ-მალე დაიარებოდა ხოლმე თავის ცოლთანა, უფრო-კი კვირა-უქმობით. 23 ივნისს, შაბათს საღამოზე, რომ მოვიდა ბახოვი, ლაზათიანად იყო გადაკრული, დაუწყო ცოლს ლანძღვა-გინება და ერთი ალიაქოთი დააყენა. ცოლმა რომ ველარაფრით დააშოშმინა ქმარი, ადგა, კარები გამოუკეტა და თითონ ერთ თავის მეგობართან წავიდა დასაძინებლად. კვირა დილით, შეაღო თუ არა ცოლმა კარები, შახოვმა მაშინვე არაყი მოსთხოვა. საიდგან მოვიტანო ამ დილა ადრიან არაყიო, უთხრა ცოლმა: ჯერ არც ერთი დუქანი არ გაუღიათ, პატარა ხანს მოიცადეო. ქმარი ამ ცოლიერს სიტყვებს არ დასჯერდა, მორთო კიდევ თავისებური ლანძღვა-გინება და ერთი ვაი ვაგლახი დააწია. შემდეგ, როდესაც ცოლი სადღაც საქმისთვის გამოვიდა ოთახიდგან, უეცრივ ორჯელ ზედიზედ გავარდა თოფი ფერშლის ოთახში. როდესაც ხალხი შეცვივდა, ბახოვი უკვე მკვდარი იყო. საწყალს უარაყობა ვერ აეტანა და თავი მოეკლა.

# წვრილი ამბავი

ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში ამ ხანად საშინელი სიცხეებია, რის გამოც ათასი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და სენი გაჩნდა და მუსრს ავლებს ხალხს. ჩიკაგოში სიცხე, ასე გასინჯეთ, ფარენგეიტის 102 გრადუსამდე ადის თურმე.

— რომში დაარსებულა ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა აქვს ამ თვეთვე შეუდგეს და მზადება დაიწყოს 1900 წ. საერთაშორისო გამოფენის გამართვისათვის რომში.

— ციურიხის კანტონის კრებას გადაუწყვეტია, რომ ყოველის გარდაცვალებულის გვამი ამას იქით სახელმწიფომ უნდა დამარხოს ხოლმე თავის ხარჯითა.

— ლუკაში სიკვდილით დასჯიათ ამას წინად ერთი 40 წ. დედაკაცი, რომელიც, მიიბარებდა თუ არა უკანონო შობილ ბავშვს, წინდაწინ ფულს ართმევდა თურმე და ბავშვს-კი შიმშილით მოჰკლავდა ხოლმე. ექვსის წლის განმავლობაში ამ გვარად 15 ბავშვი მოუკლავს ამ დედაკაცს. ეს საშინელი ადამიანი იმითი მართლულობდა თურმე თავს, რომ კაი საქმეს ვჩადიოდი, ეს ჩემ მიერ დახოცილი ბავშვები ანგელოზები შეიქმნებიანო.

— ხონთქარს უწყალობია ჩინეთის იმპერატორისათვის, თავის მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად, „იმტიაზის ორდენი“, რომლის მისართმევადაც სამხედრო ხომალდით გაუგზავნია ერთი თავის მეკარეული პრინცი ამალითურთ, მაგრამ გზის ფული არ გაუტანებია. სამხედრო გემს, უფულობის გამო, ბევრი განსაცდელი გამოუვლია გზაში და თუმცა ბევრჯელ უთხოვნიათ დეპეშით ფული, ხონთქარს მაინც არ გაუგზავნია. დღეს სამხედრო გემი ისევ გზაშია უსაშველოდ და სულ-მოკლედ და ვინ იცის, შეიძლებს და შეასრულებს თავის მინდობილობას, მიუტანს ჩინეთის იმპერატორს ორდენს, თუ არა.

# დეპეშა

29 ივნისი

პეტერბურგი. საჯაროდ გამოცხადებულია 12 ივნისს უმაღლესად დამტკიცებული წესდება საგუბერნიო და სამაზრო საერო დაწესებულებათა. უმაღლესად ებრძანა სენატს: „საერო დაწესებულებათა წესდება ხელმეორედ იმიტომ იქმნა განხილული და საუკეთესოდ შეცვლილი, რომ სხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან ერთად და ერთ სულ უკეთ შეასრულონ ფრიად მძიმე, სახელმწიფოსგან მინდობილი მოვალეობა, თანახმად დამარსებლისა და ჩვენისა სურვილისა. 1864 წ. 1 იანვრის წესდების მაგივრად ეს წესდება შემდეგს გუბერნიებში იქმნეს შემოღებული: ბესსარაბიისა, ვლადიმირისა, ვოლოგდისა, ვორონეჟისა, ვიატკისა, ეკატერინოსლავისა, ყაზანისა, კალუგისა, კოსტრომისა, კურსკისა, მოსკოვისა, ნიჟეგოროდსკისა, ნოვგოროდსკისა, ოლონეცისა, ორლოვისა, პენზისა, პერმისა, პოლტავისა, პსკოვისა, რიაზანისა, სამარისა, ს. პეტერბურგისა, სარატოვისა, სიმბირსკისა, სმოლენსკისა, ტავრიდისა, ტამბოვისა, ტვერისა, ტულისა, უფისა, ხარკოვისა, ჩერნიგოვისა და იაროსლაველის გუბერნიებში. წესდება იმ თანდათანობით იქნება შემოღებული, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი დაინახავს მოსახერხებლად“.

სამხედრო უწყებას გამოუცხადა, რომ უმაღლესად დამტკიცდა საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემიისა და იმის შტატის წესდების პროექტი, რომელიც $189^{0}/_{1}$ სასწავლო წლიდგან იქნება შემოღებული.

პარიჟი. ვენიდგან იუწყებიან, რომ გენერალ-ადიუტანტი ვანნოვსკი აქაურს თეატრში იყო და იმის პატივსაცემლად ორკესტრმა რუსული საერო საგალობელი დაუკრა და შემდეგ საზოგადოებამ ხმა-მაღლა დაიწყო ძახილი: „გაუმარჯოს რუსეთსაო“!

ლონდონი. ლორდთა პალატამ კამათობის შემდეგ, რომელმაც 2 საათს გასტანა, მეორე წაკითხვის შემდეგ, უკენჭოდ დაამტიცა გელგოლანდის დათმობის ბილლი.

---

ნოთა კაცთაგან ცნობით აღვწერე. ხოლო დაშთომილი არს უკანასკნელი უბედურებითი მოწევნა, რომ ჟამსა მოხუცებულობისა მისისა მოვიდა ალამაჰმად ხან და აღაოხრა ტფილისი. ხოლო ამისთვის არა რაჲ აღწერილ არს ჯერეთ.

აქ თავდება ომან მდივანბეგის მიერ შედგენილი ერეკლე მეფის ისტორია [3])

ხოლო ზემორე აღწერილთა ამბების შესახებ საჭიროდ ვსთვლით მოვიყვანოთ კიდევ ორიოდე ცნობა.

ბუტკოვი ამბობს (ტ. II, გვ. 178—200): 1785 წ. ომარხანმა შეჰკრიბა 11,000 კაცი და გადმოვიდა ქარს. აქ მიიშველია ქარ-ბელაქნელნი და 20,000 ჯარი შეუდგა. ამ ჯარით დადგა ალაზანზე, რომ კახეთს შემოესიოს. პირობისამებრ, ახალციხის სულეიმან ფაშასა და ომარხანს ერთსა და იმავე დროს უნდა დაერბიათ საქართველო: ომარხანს კახეთი და ფაშას ქართლი. ეს გაიგო ერეკლემ, ჯარები ჩააყენა გორისა, ტფილისისა, თელავისა და სიღნაღის ციხეებში და თითონ თავის ჯარითა და რუსის ორის პოლკით წავიდა ქიზიყში. მეფეს თან ახლდა ბურნაშოვი. ომარხან 11,000 რჩეულის ჯარით გადმოვიდა ალაზანზე, ერეკლეს ვერ შემოება. იგი 17 ენკენისთვეს იორზე გადავიდა და წავიდა ტფილისისკენ. ერეკლე გამოუდგა. ომარხანი მივიდა ყარაიაზზე 19 და მტკვრის მარჯვენა კიდეზე გადავიდა. ბორჩალო გაიარა და მიადგა ახტალას. ერეკლე 21-ს მივიდა ბორჩალოში. ომარხანმა ამასობაში აიღო ახტალა, ახტალის მშვენიერი ციხე ნაღმით აფეთქა, დაანგრია ვერცხლ-ოქროს ქარხნები, ეკკლესია, 640 სული დახოცა და 860 დაატყვევა. ერეკლეს მისვლაზედ ომარხანი აიყარა და ახალციხისკენ წავიდა 3 ღვინობისთვეს. მეფე ტფილისს დაბრუნდა. 25 ღვინობისთვეს ომარ-ხანი შევიდა იმერეთს და შემოადგა ვახანის ციხეს. ამ ციხის მისაშველებლად ქართველთა და რუსთა ლაშქარი მივიდა სურამს. ამასობაში იმერეთის მეფე დავითი 11,000 ჯარით მოვიდა სოფ. მარელისს. ამ მეფეს ერეკლესთან შეყრა სწადდა 1 გიორგობისთვეს. მტერმა ვახანის ციხე აიღო, 700 კაცამდის დაატყვევა და უმეტესი ნაწილი დახოცა. შემდეგ ივლტო ახალციხისკენ. აქ ომარხანმან იზამთრა და სულეიმან ფაშასთან პ-რი შეჰკრა, რომ ერთად დაერბიოთ საქართველო. მაგრამ ფაშას ხონთქრისაგან მოუვიდა ფირმანი, რომლითაც სულეიმანს აეკრძალა ლაშქრობა საქართველოზე. სხვათა შორის ფირმანში ნათქვამი იყო: „ოდესაც ხარი წევს, ნურას ერჩით და ნუ აიძულებთ ფეხზე წამოდგეს“.

ომარხანისაგან ერეკლეს მოუვიდა თხოვნა შესახებ ურთი-ერთ შორის ზავ-ყოფისა. ომარხანი ერეკლეს სთხოვდა 20,000 მან. ჯამაგირს ყოველ წლივ. ამაზედ ერეკლემ შეუთვალა, რომ ერთხნობით მოგცემ 10,000 მ. და შემდეგ ყოველ წლივ 4,000 მანათსაო. მეფესა და ომარხანს შორის გაიმართა მიწერ-მოწერა. აი, სხვათა შორის, ერთი წერილთაგანი ომარხანისა ერეკლესადმი.

„თქვენი წერილი ჩვენ მივიღეთ. იწერებით, რომ 33 წელიწადი ჩემს მამასთან მეგობრობა გქონიათ, არაერთხელ მისთვის შემწეობა აღმოგიჩენიათ, და მის გარდაცვლის შემდეგ ბევრი სიკეთე ჩემზედაც მოგიღიათ. ეს არსებითი ჭეშმარიტებაა. გწერთ კიდევ, რომ ახტალაში დატყვევებული ტყვეები გავანთავისუფლოთ. ბატონო, მამაო ჩვენო! ჩვენ ყოველთვის თქვენთან მეგობრულად ვყოფილვართ და გვსურვებია, ვითა შეჰფერის შვილს, ისეთი მორჩილი ვყოფილიყავით თქვენი, გთხოვდით, რომ შვილად მიგვეჩნიეთ და გამოგვეგზავნათ ჩვენთვის საჩუქარი. ხოლო თქვენ არ მიგვიღეთ შვილად, არამედ დაღისტნის ბელადად დაგვსახეთ. ჩვენ დაღისტანში ვცხოვრობთ. ამ ქვეყნის ძალ-ღონე ჩვენ კარგად ვიცით და საქართველოში იმიტომ-კი არ შემოვედით, რომ თქვენი დიდება გაგვეძლიერებინა, არამედ საშოვარი გვემოვნა. თუ ჭეშმარიტად განსჯით საქმის ვითარებას, დარწმუნდებით, რომ თქვენვე ბრძანდებით მიზეზად საქართველოში მომხდარ ამბებისა. მაგრამ ჩვენ ვერ გავკადნიერდებით და თქვენისთანა დიდებულს გვამს მის დაჭერილ საქმეების ანგარიშს ვერ მოვსთხოვთ. დაღისტნის ჩვეულებისამებრ, ტყვენი უკვე განაწილებულნი არიან ჩვენ ჯართა შორის და ეხლა შეუძლებელი-ღაა მათი შეკრება... მამაჩვენი თქვენი მეგობარი იყო 33 წ. განმავლობაში, რის გამო თვით დაღისტნის ერი არა თუ თქვენთან მეგობრულად სცხოვრობდა, არამედ კიდეც გემსახურებოდა ერთგულად... როდესაც ჩვენ შორის ისევ მამაშვილური განწყობილება განმტკიცდება, დაღისტნის ერი ძველებურადვე ერთგულად გემსახურებათ, ახლა იფიქრეთ. ხოლო იყოს ნება თქვენის უმაღლესობისა“.

ამასობაში ერეკლეს საქმე გაუჭირდა. უმეტესი ნაწილი შამქორელთა და ყაზახთა შუშაში გადასახლდა, შამშადილთა—განჯაში. მრავალი სომეხი და ქართველი გაიხიზნა და მივიდა ყიზლარს. ვაჭრობა მოისპო გზებზე შიშიანობისა გამო. ხვნა-თესვა შეფერხდა, რადგან ხალხი ჯარში გამოდიოდა და მუშაობისათვის აღარა სცალოდა. ჯარისთვის მეფეს ფული აღარა ჰქონდა, რადგან ახტალის ვერცხლ-ოქროს ქარხანა, საიდგანაც ყოველ წლივ 100,000 მან. შემოსდიოდა, ომარ-ხანმა გააოხრა. მეფე დიდს მწუხარებაში იყო აგრეთვე იმის გამო, რომ დედოფალ დარიასაგან ხშირად საყვედური ესმოდა რუსეთთან ტრაქტატით ხელ-შეკრულობისა გამო, რომელსაც დედოფალი სთვლიდა მიზეზად საქართველოს აოხრებისა... ომარხანმა ახალციხეში იზამთრა და 1786 წელს დაღისტანში დაბრუნდა. 1786 წ. ღვინობის თვეში ერეკლემ ომარხანი შეირიგა და ჯამაგირად დაუნიშნა 6,500 მან. ამასთანავე ხონთქარმაც მოინდომა ერეკლესთან დაზავება. მეფეს დიდს იმედებს უთვლიდნენ, თუ რუსის ჯარს საქართველოდგან გაიყვანდა. ერეკლე, ხალხისაგან იძულებული, 1787 წელს ზავი შეჰკრა ოსმალებს და ამ ზავის პირმტკიცეობისათვის ახალციხეში ორ თავადი ამანათად გაგზავნა.

[3]) ეს ისტორია რუსულადაც არის სიტყვასიტყვით თარგმნილი. ერთი ცალი ამ ისტორიისა არის წერა-კითხვის ბიბლიოთეკაშიაც (№ 52). რუსული სათაურად აწერია: „Повествов. о военныхъ дѣйствіяхъ царя грузинскаго Ираклія второго“.

30 ივნისი

პეტერბურგი. უწმიდესის სინოდის უწყებასთან საჯაროდ გამოცხადებულია ეკკლესიათა და სასულიერო წოდების მართვის წესდება: ეკკლესიებისა და მთელის სასულიერო წოდების საქმეებს უნდა განაგებდეს ერთი სასულიერო წოდების წარმომადგენელი, რომელსაც ეწოდება სამხედრო და ზღვათა უწყებათა პროტოპრესვიტერი. პროტოპრესვიტერი ამორჩეულ უნდა იქმნეს უწმინდესის სინოდის მიერ და უმაღლესად დამტკიცებული. სანამ პროტოპრესვიტერის მმართველობის ახალი შტატები გამოიცემოდეს, ძალაში დარჩება ეხლანდელი შტატები გვარდიისა, გრენადერთა ჯარისა და ფლოტის უფროსის მღვდელის მმართველობისა.

რომი. პალატამ ერთ-ხმად გადასწყვიტა: იტალიის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს იმ აზრს, რომ სახელმწიფოთა შორის ატეხილი ყოველგვარი დავა და უსიამოვნება მედიატორულის შუამავლობით გათავდეს ხოლმე. კამათობის დროს კრისპი ამ აზრს მიემხრო და სთქვა, რომ ყველა კონგრესზე იტალია მშვიდობიანობის მოსარჩლე იქნებაო.

ვენა. კარლსბადში კობურგელების ოჯახს თათბირი ჰქონდა. გვარის უფროსი ჰერცოგი ერნოსტ-საქსენ კობურგისა, პრინცის ფერდინანდის ბიძა, იმ აზრისა იყო, რომ პრინცი უთუოდ უნდა გადადგეს და ბოლგარიის სამთავრო ტახტზედ უარი სთქვასო, მაგრამ პრინცი არ დასთანხმდა. ჰერცოგი ერნსტი ვენაში წავიდა პრინცესსა კლემენტინასთან და უნდა მოელაპარაკოს, რომ დაითანხმე როგორმე შენი შვილიო.

1 ივლისი

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საჭიროდ დაინახეთ სავაჟო გიმნაზიებში სწავლების პროგრამმის შეცვლა და ამიტომ 1889 წელს, თავ. ვოლკონსკის თავ-მჯდომარეობით, კომისია დავნიშნეთ პროფესორებისა, გიმნაზიის დირექტორებისა, მასწავლებლებისა და სხვ. ამ საქმის მცოდნეთა. როდესაც ეს საქმე სახელმწიფო საბჭომ განიხილა, პროექტის შეცვლა მხოლოდ მცირეოდნად დაინახა საჭიროდ. ამას გარდა 12 ივნისს საბჭომ განიხილა ის საგანიც, თუ გაკვეთილები როგორ იქმნეს ყოველ დღე განაწილებულიო. ამას შემდეგ გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ საკანიკულო ვადას ორი კვირა კიდევ მოემატოსო. გაკვეთილების განაწილების შესახებ საბჭომ დაადგინა: ყოველ-კვირა სამ-სამი გაკვეთილი მიემატოს საღმრთო სჯულსა და რუსულ ენას, თითო ისტორიასა და ფიზიკას, ხუთ-ხუთი წერასა და ხატვას, რომელიც სავალდებულო იქნება. ძველ ენების გაკვეთილებს მოაკლდა ათი, გეოგრაფიისას 2 და მათემატიკისას ერთი გაკვეთილი. ამ სამოსწავლო წლიდგან ყველა საგნის სწავლება ახალის პროგრამმის თანახმად უნდა სწარმოებდეს, იმ ცვლილებით, რომელსაც საჭიროდ დაინახავს სამინისტრო, ან თითოეულის გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო, თუ იმისი გარდაწყვეტილება სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა. რუსულისა და ძველის ენების, განსაკუთრებით ლათინურის, სწავლება ერთსა და იმავე მასწავლებელს უნდა მიენდოს, სამს უმცროსს კლასში მაინც, და ეს მასწავლებელი უნდა იყოს რუსი. ძველის ენების სწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძველის ავტორების სამაგალითო თხზულებათა კითხვას. ხოლო რაც შეეხება რუსულიდგან ბერძნულად და ლათინურად თარგმნას, ეს მხოლოდ დიდაქტიურ საშუალებად დარჩება.

„С.-Петер. Вѣд.“ გაუგონია, რომ ნება დართული აქვთ ვოლგა-კამის მხრის ვაჭართა და მრეწველთ ამ წელს ყაზანში სამრეწველო კრება გამართონო.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ ნებადართულია ყოველ წლივ იარმუკობა გაიმართოს სიმფეროპოლშიო.

გაზეთები იუწყებიან, რომ განზრახვა აქვთ ბაქო მოუმატონ შუშასა, შუშის ნივთეულობას და აგრეთვე თაფლსა და წმინდა სანთელსაო.

2 ივლისი

პეტერბურგი. ამ პირველ შინაგან სესხის ბილეთის ტირაჟში, რომელიც 1 რიცხვში იყო, უმთავრესი მოგებანი ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერიისა | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 18348 | 47 | 200,000 |
| 1611 | 6 | 75,000 |
| 19875 | 40 | 40,000 |
| 14082 | 11 | 25,000 |
| 12303 | 5 | 10,000 |
| 5527 | 42 | 10,000 |
| 10764 | 22 | 10,000 |
| 11732 | 47 | 8,000 |
| 639 | 31 | 8,000 |
| 4552 | 50 | 8 000 |
| 14037 | 30 | 8.000 |
| 11232 | 30 | 8,000 |
| 11232 | 47 | 8,000 |
| 2578 | 16 | 5,000 |
| 18313 | 20 | 5,000 |
| 16424 | 45 | 5,000 |
| 16545 | 26 | 5,000 |
| 14965 | 12 | 5,000 |
| 19389 | 45 | 5,000 |
| 11680 | 40 | 5,000 |
| 935 | 9 | 1,000 |
| 19142 | 9 | 1,000 |
| 19675 | 46 | 1,000 |
| 8756 | 2 | 1,000 |
| 7253 | 35 | 1,000 |
| 4804 | 42 | 1,000 |
| 14996 | 18 | 1,000 |
| 6803 | 45 | 1,000 |
| 12116 | 36 | 1,000 |
| 4470 | 45 | 1,000 |
| 8487 | 46 | 1,000 |
| 8737 | 9 | 1,000 |
| 9741 | 9 | 1,000 |
| 5283 | 26 | 1,000 |
| 7457 | 24 | 1,000 |
| 17688 | 2 | 1,000 |
| 7433 | 44 | 1,000 |
| 2670 | 28 | 1,000 |
| 4140 | 42 | 1,000 |
| 3998 | 38 | 1,000 |

პეტერბურგი. გუშინ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ორელ-ვილენის გუბერნიაში წაბრძანდა იქ დაბანაკებულ არტილერიის ბრიგადის დასათვალიერებლად.

„Нов. Вр.“-ას გაუგონია, რომ პეტერბურგში უნდა დაარსონ საბაქტერიოლოგიო ინსტიტუტი, რომლის დირექტორად ვ. გ. ფონ-ანრეპი იქნება დანიშნულიო.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ ფულოსის პორტის აგებას უნდათ ამ შემოდგომიდგანვე მიჰყონ ხელიო.

იმავე გაზეთის სიტყვით, წვრილმან ნავთის მწარმოებელთათვის ამიერ კავკასიის რკინის-გზის მატარებლებს მიემატება კიდევ 1,000 ნავთის გადასაზიდავი ვაგონიო.

გაზეთების სიტყვით, ხარკოვის სამეურნეო საზოგადოებას ნება აქვს ამ შემოდგომაზედ მამულის მეპატრონეთა კრება გამართოს.

მოწონებულ იქმნა აგრეთვე კიევის სამეურნეო საზოგადოების თხოვნა მთელის მხარის მემამულეთა კრების შესახებ და იმის თაობაზედ, რომ რკინის-გზებით იაფად გადაიტანებოდეს ხოლმე ზოგიერთი გამაპოხიერებელი და სასუქად გამოსაყენებელი ნივთიერებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაიყიდა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 94 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $138\frac{1}{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 12 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 231 |
| —მეორისა | $215\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| —მესამისა | $212\frac{1}{4}$ | — „ | $210\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

გამოსაღები ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. $4\frac{1}{2}$ კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3
„ 2 „ $2\frac{1}{2}$
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ $3\frac{1}{2}$
„ „ 3 „ 3 „
ჭვავის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი. . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „


# განცხადებანი

მიხ. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—7)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კაკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ლიოსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სასიხარულოს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა უიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—25)



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

არყის ხის ბალზამი ღ-რის ლენგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად-ერთ აგენტის ვასილ აურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19.

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (19—14)



ოქროს

თამბაქოს ფაბრიკა



ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ დასწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში. (25—2)

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (5—4)


Дов. ценз. Тифлисъ. 2-го Iюля 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე